სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულება

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს **საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1979 წლის 22 ოქტომბერი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 203 (6514)

23 1979 წ. ოქტომბერი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● ძიუდო

ევროპაში უძლიერესნი

იტალიის ქალაქ ბრეშიაში დამთავრდა ძიუდოისტთა გუნდების ევროპული ტურნირი. ფინალში საბჭოთა მოჭიდავეებმა დაამარცხეს ფრანგები — 4:1 და ევროპის ჩემპიონის ტიტული დაიბრუნეს. შემდეგი ადგილები დაიკავეს იტალიის, გფრ-ის, პოლონეთის, ჰოლანდიისა და იუგოსლავიის სპორტსმენებმა.

საბჭოთა გუნდი ფინალში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: თბილისელები თ. ნამგალაური, შ. ხაბარელი, კურსკელები — ნ. სოლოდუხინი, ა. შუროვი, მოსკოველი ა. ტიურინი, რიგელი ა. იაცკევიჩი და მაიკოპელი ა. ემიჟი.

● სასტენდო სროლა

საქართველოს გუნდი ჩემპიონია

ალმა-ათაში დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. ვაჟებს შორის გუნდური, ხოლო ქალთა შორის პირადი პირველობები თამაშდება. მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში საქართველოს გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ტ. ეღენტი, თ. იმნაიშვილი, თ. მატოიანი და გ. შენგელია 600-დან 572 ქულა მოაგროვა და ისე, როგორც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში, ჩემპიონატშიც პირველი ადგილი დაიკავა.

ყაზახეთისა და მოსკოვის პირველმა ნაკრებმა 568-568 ქულა მოაგროვა. ვერცხლის მედლები მიეკუთვნათ ყაზახეთის სპორტსმენებს, რომლებსაც უკანასკნელ სერიებში უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ.

ქალთა პირადი პირველობა მოიგო 18 წლის ს. იაკიმოვამ (რსფსრ), რომელმაც 186 ქულა მოაგროვა. მას ორი ქულით ჩამორჩა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ლ. გურვიჩი. ბრინჯაოს მედალი ერგო მინსკელ ვ. კოვალენკოს — 183 ქულა.

● მძლეოსნობა

ტრადიციული...

14153 მონაწილე შეგროვდა ნიუ-იორკის ტრადიციულ X მარათონის სტარტზე. ეს სარეკორდო ციფრია. ცენტრალურ პარკში მოწყობილ ფინიშთან პირველი მიიჭრა ცნობილი ამერიკელი მძლეოსანი ბ. როჯერსი, რომელმაც 42195 მეტრი 2 საათში, 11 წუთსა და 44 წამში დაფარა.

● კალათბურთი

პირველი ეტაპი განვლილია

მოსკოვში და **ნოვოსიბირსკში** დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური.

მოსკოვის სტარტების შემდეგ გუნდების მდგომარეობა ასეთია: მოსკოვის ოლქის „სპარტაკს“ 10 ქულა აქვს, ცსკა-ს —9, მოსკოვის „დინამოს“ — 8, კიევის „დინამოს“, პენზის „სპარტაკს“ და ალმა-ათის „უნივერსიტეტს“ — 6-6.

ნოვოსიბირსკში დაუმარცხებლად იბრძოდნენ რიგის ტტტ-ს კალათბურთელები. მათ 10 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან ნოვოსიბირსკის „დინამო“ —9, სვერდლოვსკის „ურალმაში“ —8, ლენინგრადის „სპარტაკი“ — 7, ვილნიუსის „კიბირკშტისი“ — 6 და მოსკოვის „სპარტაკი“ — 5.

„ბურევესტნიკის“ წარმატება

პოლონეთის ქალაქ ლიუბლინის მ. სკლადოვსკა-კიურის სახელობის უნივერსიტეტის პრიზის საერთაშორისო გათამაშებაში გაიმარჯვეს თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელმა ქალებმა. გადამწყვეტ შეხვედრაში მათ მოუგეს ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდს — 69:62.

● ჭადრაკი

ბრძოლა მწვავდება

მოჰადრაკე ვაუთა რესპუბლიკური ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გაიმართა კიდევ ორი ტური.

VIII ტურში ზ. აზმაიფარაშვილმა დაამარცხა დ. გედევანიშვილი, დ. გიორგაძემ — ვ. ვეფხვიშვილი, ზ. სტურუამ — დ. ჩაჩიბაია, ს. ჩეჩელიანმა — ლ. ნეურონოვი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

IX ტურში პირველად დამარცხდა შეჯიბრების ლიდერი ე. უბილავა, რომელმაც ორმხრივ ციაიტნოტში უზუსტოდ ითამაშა ი. ეფიმოვთან. ასევე პირველად დამარცხდა ა. ბოკუჩავა — ზ. სტურუასთან. ს. ჩეჩელიანმა მოუგო ნ. ჩახოიანს, ზ. აზმაიფარაშვილმა — ვ. ვეფხვიშვილს, გ. გიორგაძემ — თ. ხანთაძეს. აღსანიშნავია, რომ სტარტზე სამი წაგების შემდეგ ჭაბუკმა მოჭადრაკემ გიორგაძემ ზედიზედ მესამე პარტია მოიგო. ყაიმით დამთავრდა ზ. მიქაძე — გ. ზაიჩიკის, დ. გედევანიშვილ — კ. ბაბახანოვისა და ი. ჩიქოვან — დ. ჩაჩიბაიას პარტიები.

9 ტურის შემდეგ 5,5 ქულით ლიდერობს აზმაიფარაშვილი, 5-5 ქულა აქვთ ჩეჩელიანს, უბილავას, მიქაძესა და სტურუას.

ე. მელიქსეთბეგი,
საერთაშორისო არბიტრი.

● ველოსპორტი

საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვებით...

იტალიაში გაიმართა ველოსიპედისტთა ასპარეზობა, რომელიც „ბრიანცას საერთაშორისო კვირეულის“ სახელითაა ცნობილი. ამ მრავალდღიან შეჯიბრებაში ყველას აჯობა ტარტუელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. პიკუუსმა. მან ოთხი ეტაპის ჯამში 2 წამით სძლია იტალიელ ა. მინატის.

● მშვილდოსნობა

ერთი ქულით

ტაშკენტში გამართულ საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშვილდოსანთა პირველობაზე სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ტაშკენტელმა ნ. ბუტუზოვამ 50 მეტრიდან შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 330 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი ქულით აღემატება თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ქ. ლოსაბერიძის ადრინდელ მიღწევას.

შეჯიბრებაში მონაწილეობს 100-ზე მეტი სპორტსმენი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან.

ნანა ალექსანდრია პრეტენდენტია

რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა და ქალთა საზონათშორისო ტურნირები.

ქალთა შეჯიბრებაში ნ. იოსელიანისა და ჟ. ვერეცის (უნგრეთი) გამარჯვების შესახებ უკვე ვიუწყებოდით. **მესამე ადგილი და პრეტენდენტის უფლება მოიპოვა ნ. ალექსანდრიამ, რომელმაც ბოლო ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა გ. ფიშდიკთან (გფრ), დააგროვა 11 ქულა და მიუწვდომელი გახდა მეტოქეთათვის.** ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, იოსელიანის შეხვედრა ე. სოპესთან (არგენტინა), ვერეცისა — ბ. ბორისოვასთან (შვეცია). საბოლოოდ იოსელიანს 14,5 ქულა აქვს, ვერეცის — 12.

ვ. კოზლოვსკაიამ წააგო ი. კადილკართან (ინდოეთი), ხოლო შეჯიბრების მეოთხე საბჭოთა მონაწილემ ტ. ზატულოვსკაიამ მოუგო მ. ლაზარევიჩს (იუგოსლავია). ლიდერებს შემდეგ ცხრილში მოდიან ფიშდიკი და პოლეჭრონიადე (რუმინეთი) — 10,5-10,5 ქულა, ლაზარევიჩი და კოზლოვსკაია — 9,5-9,5, ზატულოვსკაია — 9.

ვაუთა ასპარეზობის ბოლო ტურში ლ. პორტიშმა (უნგრეთი) ყაიმით დაამთავრა თავისი შეხვედრა და, ისევ როგორც ჰიუბნერმა, 11,5 ქულა დააგროვა. პრეტენდენტის უფლება მოიპოვა ტ. პეტროსიანმაც, რომელმაც დაამარცხა იუგოსლავიელი ბ. ივკოვი. მასაც 11,5 ქულა აქვს. ვაუთა ტურნირში ასპარეზობდა კიდევ ორი საბჭოთა დიდოსტატი ი. ბალაშოვი და რ. ვაჰანიანი. მათი შედეგები შედარებით მოკრძალებულია — პირველს 9 ქულა აქვს, ხოლო მეორეს — 8 17 შესაძლებლიდან.

რიგის საზონათშორისო ტურნირში პრეტენდენტის უფლება მოიპოვეს მ. ტალმა და ლ. პოლუგაევსკიმ, ხოლო მესამე საგზურისთვის დამატებით მატჩის პირველ პარტიაში ზ. რიბლიმ (უნგრეთი) თანამემამულე ა. ადორიანთან პარტია გადადო უკეთეს პოზიციაში.

* * *

სურათზე: ნანა ალექსანდრია.



20 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა როსტოვისა და თბილისის მოკრივეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

სურათზე: რინგზე არიან ა. ხიზანიშვილი (მარცხნივ) და ა. შინკარენკო.

ე. ხუცურაულის ფოტო.

ნომრის ანონსი



 კვირას თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე დამთავრდა მოზარდთა საკავშირო პირველობა ჯგუფურ რბოლაში.

* * *

სურათზე: ასპარეზობის მომენტი.

ო. გელაშვილის ფოტო.

მე-3 გვ.

მე-4 გვ.

ოლიმპიურ იდეებს-ფართო პროპაგანდა

აფხაზეთის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტების სადღეისო ამოცანები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს პრეზიდიუმმა ერთობლივად იმსჯელეს აფხაზეთის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობაზე და აღნიშნეს, რომ ამ უნივერსიტეტების სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს „ოლიმპიადა-80“-ის მზადებასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტებში 723 მსმენელია გაერთიანებული. ნაყოფიერად მუშაობს მ. გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტი. აქ კვალიფიკაცია უკვე აიმაღლა ფიზკულტურის 100-ზე მეტმა მუშაკმა, მწვრთნელმა, მასწავლებელმა.

სასწავლო წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მსმენელებმა შეისწავლეს მრავალი აქტუალური საკითხი, მათ შორის 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი საკითხები. ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „მოსკოვის ოლიმპიადა“.

აქ სწავლაში იყენებდნენ აქტიურ ფორმებსა და მეთოდებს: სემინარებს, შეხვედრებს, ექსკურსიებს... მოეწყო მსმენელთა შეხვედრა ოლიმპიური თამაშების მონაწილეებთან — ვ. სანეევთან, მ. პაპავასთან, ვ. დოროხოვთან. მეცადინეობებზე დიდი ყურადღება ექცეოდა კოლექტიურ დასწრებას ქვეყნისა და ოლიმპიური ნაკრები გუნდების შესარჩევ თამაშებზე, მწვრთნელებთან, გამოჩენილ სპორტსმენებთან საუბრებს.

სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, აფხაზეთის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკები.

დამსვენებლებთან საინტერესო მუშაობას ეწევა გაგრის XVII პარტყრილობის სახელობის სანატორიუმთან არსებული აქტიური დასვენების სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. სურმენკოვი ხელმძღვანელობს. უნივერსიტეტმა ორი ათეული წლის მანძილზე საკმაო გამოცდილება დაგროვა. უნივერსიტეტი მუშაობს დამსვენებელთა ნაკადების მიხედვით. თითოეულ ნაკადში 600-ზე მეტი მსმენელია. უნივერსიტეტი სწავლებაში იყენებს სხვადასხვა ფორმებს (სამკურნალო ტანვარჯიშს, ტურიზმს, სეირნობას), სისტემატურად ტარდება ექიმის საუბრები. გამოდის რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, უჩვენებენ სამედიცინო შინაარსის კინოფილმებს. პრაქტიკულ მეცადინეობებზე მსმენელები ეუფლებიან სამედიცინო თვითკონტროლს, სწორ მოძრაობასა და სუნთქვას, სამკურნალო ტანვარჯიშის კომპლექსს, ნიჩბოსნობას, პირველი სამედიცინო დახმარების მეთოდებს...

საბჭოთა აფხაზეთის ღირსშესანიშნავი ადგილების, კულტურისა და ისტორიის გაცნობის მიზნით უნივერსიტეტი ფართოდ იყენებს საზღვაო და სახმელეთო ექსკურსიებს, ლაშქრობებს, ხშირად მართავს შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ასწავლიან სამკურნალო სიარულს, ცურვას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგია და საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს პრეზიდიუმი ამასთანავე აღნიშნავენ, რომ აფხაზეთში არასაკმაოდაა განვითარებული ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტების ქსელი. ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტთან შექმნილი არ არის სახალხო უნივერსიტეტების ხელშემწყობი საბჭო, რის გამო მის სისტემაში მხოლოდ ერთი სახალხო უნივერსიტეტია (კვალიფიკაციის ამაღლების), არცერთი უნივერსიტეტი არ მოქმედებს მშრომელი ახალგაზრდების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის. ქ. სოხუმის ფიზკულტურისა და სპორტის და გაგრის აქტიური დასვენების სახალხო უნივერსიტეტების სამეცნიერო-მეთოდური საბჭოები რეგულარულად არ იწვევენ სხდომებს...

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს პრეზიდიუმმა აფხაზეთის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს დაავალა დაუყოვნებლივ შექმნას სახალხო უნივერსიტეტების ხელშემწყობი საბჭო და განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის შემდგომი განვითარებისთვის; ამ საბჭომ გადაჭრით უნდა იზრუნოს უნივერსიტეტების ქსელის გეგმაზომიერი განვითარებისთვის, ორგანიზაციული განმტკიცებისა და სრულყოფისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს როგორც ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი, ისე მოსწავლე, სტუდენტი და მშრომელი ახალგაზრდობის სახალხო უნივერსიტეტების, ფაკულტეტების, ფილიალების შექმნასა და განვითარებას, რისთვისაც ფართოდ გამოიყენოს სპორტკლუბები, სპორტსაზოგადოებები, ყველა სახის სპორტული ბაზა.

სოხუმის ფიზკულტურისა და სპორტის და გაგრის XVII პარტყრილობის სახელობის სანატორიუმის აქტიური დასვენების სახალხო უნივერსიტეტების სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოებს დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ „ოლიმპიადა-80“-ის მზადებასთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიან შესწავლას, კვლავაც დანერგონ სწავლების აქტიური ფორმები და მეთოდები (კითხვა-პასუხის საღამოები, კონფერენციები, სემინარები, შეხვედრები).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს (თავმჯდომარე შ. ქველიაშვილი) დაევალა შეიმუშაოს ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის განვითარების 1981-85 წლების პერსპექტიული გეგმა. ამავე საბჭოსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახალხო უნივერსიტეტების ხელშემწყობ საბჭოს (თავმჯდომარე თ. ჭყონია), აფხაზეთის ასსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს (კ. დუმავა) დაევალათ „ოლიმპიადა 80“-ისთვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის მატებას, გულდასმით შეისწავლონ და გაავრცელონ მოწინავე აქტიური დასვენების სახალხო უნივერსიტეტების გამოცდილება, უზრუნველყონ ასეთი ტიპის სახალხო უნივერსიტეტების შექმნა რესპუბლიკის საკურორტო ორგანიზაციების ბაზაზე.

● მაღლეოსნობა

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე რამდენიმე დღეს გაგრძელდა დედაქალაქის მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობა მძლეოსნობაში. ასპარეზობაში რაიონების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ტურნირმა რამდენიმე პერსპექტიული ჭაბუკი და გოგონა გამოავლინა.

ამ ფოტოებზე შეჯიბრების მონაწილეებია აღბეჭდილი. ზედა ფოტო მოგვითხრობს გოგონების ეტაფეტის შესახებ. ქვედა მარცხენა ფოტოზე თქვენ ხედავთ 5000 მეტრზე ჭაბუკთა რბენის მონაწილეს. წინ არის ამ სახეობაში გამარჯვებული ვ. ფეიქრიშვილი; 2000 მ წინაღობებით რბენა მოიგო ი. მამედოვმა — 6.40,7.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

● ჰორიზონტზეა ლეიკ-პლესიდი

ჩემპიონთა გეგმები

...ტელეფონით თითქმის კვირის განმავლობაში ძებნა „ცნობილი ოჯახისა“, რომელიც სამი წელიწადია მოსვენებას უკარგავს მთელი მსოფლიოს მოციგურავეებს, ბოლოს და ბოლოს წარმატებით დამთავრდა. ხაზზეა მედისონი (ვისკონსინის შტატი). ყურმილი ერიკმა აიღო. მან მაშინვე გამაფრთხილა, რომ დრო ძალზე ცოტა ჰქონდა. რვაგზის მსოფლიო ჩემპიონი მაისიდან ინტენსიურად ემზადება „ოლიმპიადა-80“-ისთვის, რომელიც მის ქვეყანაში, ლეიკ-პლესიდში გაიმართება. როგორც მან თქვა, ყოველი დღე, ყოველი საათი გაანგარიშებული აქვს.

— როგორია თქვენი ოლიმპიური გეგმები?

— დიდი სურვილი მაქვს ლეიკ-პლესიდის საციგურაოზე რაც შეიძლება მეტი ჯილდო მოვიპოვო და, თანაც, ოქროსი. ყოველ შემთხვევაში მე და ჩემი და „ოქროს სიზმრებს“ ვხედავთ.

21 წლის ჰეიდენს უფლება აქვს თავისი თავი გამორჩეულებს მიაკუთვნოს. თანამედროვეობის მოციგურავეებიდან ჯილდოების რაოდენობით მხოლოდ ჰოლანდიელ არდ სხენკს შეუძლია დაიკვეხნოს. მანაც სამჯერ მოიპოვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. და თუმცა ჰეიდენს აქვს კიდევ სპრინტერთა შორის მსოფლიო პირველობის გამარჯვებულის სამი მედალი, აგრეთვე, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატებში მოპოვებული ორი „ოქრო“, მას მოსვენებას არ აძლევს „მფრინავი ჰოლანდიელის“ ოლიმპიური მიღწევები. საპოროს ზამთრის თამაშებში სხენკმა ოთხიდან სამი ოქროს ჯილდო მოიგო.

—ზამთრის „ოლიმპიადა-80-ში“ მოციგურავე ვაკები 5 (500, 1000, 1500, 5000 და 10000 მეტრებზე) ოქროს მედალს გაითამაშებენ. დისტანციები სხვადასხვანაირ მომზადებას საჭიროებს, მაგრამ რატომ არ უნდა ვცადო ხუთივეში წარმატებით გამოსვლა? — განაცხადა ჰეიდენმა.

ეს რომ შესაძლებელია, ამას თვით ჰეიდენის შედეგებიც ადასტურებს. წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ხომ ერიკმა ოსლოში ოთხივე დისტანციაში გამარჯვებით მოიპოვა. ამასთან, სამ დისტანციაზე უმაღლესი მსოფლიო მიღწევა, ხოლო მრავალჭიდის ჯამში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

— ასეთი მაცდუნებელი ოლიმპიური გეგმები, ალბათ თქვენგან და თქვენი დისგან დაძაბულ ვარჯიშსა და მრავალრიცხოვან ტურნირებში მთელი ძალით ასპარეზობას მოითხოვს.

— წლევანდელი სეზონისთვის მე და ბეტი ჩვენი მწვრთნელის, ოლიმპიური ჩემპიონის დინა ჭოლამის ძველი გამოცდილი „რეცეპტით“ ვემზადებით. მაისიდან დაწყებული განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ დასერილ ადგილებზე და მოკლე დისტანციებზე რბენას. ოქტომბრის შუა რიცხვებში ყინულზე გავალთ, გავმართავთ ტურნეს ევროპაში. ახლა მე და ბეტი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში ვართ და, ვიმედოვნებთ, კვლავ გავიმარჯვებთ ყველა ძირითად შეჯიბრებაში — ჰოლანდიის მსოფლიო ჩემპიონატში, სპრინტერთა მსოფლიო პირველობაში, რომელიც აშშ-ში გაიმართება და ნორვეგიის, სსრ კავშირისა და აშშ-ის ნაკრები გუნდების მატჩში. ოლიმპიურ გეგმებზე უკვე მოგახსენეთ, თუმცა მეტოქეთაგან მოსალოდნელია სიურპრიზები. ახალგაზრდა სწრაფმა მოციგურავეებმა შეიძლება ჩემი გეგმები ჩაფუშოს.

ერიკმა ყურმილი ბეტს გადასცა. ელიზაბეტი 18 წლისაა. 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მანაც, როგორც ძმამ, ოთხივე დისტანციაზე გაიმარჯვა.

— ბეტ, იზიარებთ თუ არა ერიკის აზრს, რომ თქვენი „ოქროს ოლიმპიური სიზმრები“ საფუძვლიანია?

— დიახ, ჩემი მთავარი მიზანია ზამთრის „ოლიმპიადა-80-ის“ ჯილდოებისთვის ბრძოლა. მსოფლიო ჩემპიონატის გარდა, ლეიკ-პლესიდამდე ჩემთვის ძალზე საპასუხისმგებლო იქნება დეკემბრის შესარჩევი ტურნირი, რომლის შედეგების მიხედვით შედგება აშშ-ის ნაკრები გუნდი. ვფიქრობ, ოლიმპიურ თამაშებზე საპრიზო ადგილზე გასვლა იოლი არ იქნება. ძირითად კონკურენციას, როგორც ჩანს, უპირველესად, სსრ კავშირის ნაკრების წევრები გამიწევენ და, მაინც, მე და ჩემი ძმა თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ „ოლიმპიადა-80-ის“ „ოქროსთვის“. გამარჯვება არა მარტო პირადად ჩვენ გაგვითქვამს სახელს, არამედ აშშ-ის საციგურაო სპორტსაც, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ისე პოპულარული როდია, როგორც თქვენთან. ვსარგებლობ შემთხვევით და გთხოვთ ჩემი და ჩემი ძმის სახელით გულითადი სალამი გადასცეთ საბჭოთა მოციგურავეებს — ჩვენს მთავარ მეტოქეებსა და ბრწყინვალე მეგობრებს.

(საკდესი).

ფეხბურთი ●

უმაღლესი ლიგა

განვლილ კვირას შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

„ქაირათმა“ შინ მარცხი იწვნია ცსკა-სგან — 2:3, ფრედ ითამაშეს „ფახთაქორმა“ და „სპარტაკმა“ — 1:1. დონეცკის „შახტიორმა“ თავის მინდორზე დაამარცხა „კრილია სოვეტოვი“ — 3:2, როსტოვის არმიელებმა კი მინსკის „დინამო“ — 1:0.

გუშინ გაიმართა კიდევ 2 შეხვედრა:

„არარატი“ — „ჩერნომორეცი“ — 2:0.

„ნეფთჩი“ — „ლოკომოტივი“ — 2:0.

გათამაშების ცხრილები

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 30 ტურის შემდეგ

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	18	9	3	56—21	44
„დინ.“ კ.	19	5	6	45—20	43
„შახტიორი“	17	8	5	49—27	42
„დინ.“ თბ.	16	12	2	46—21	40
„დინ.“ მ.	14	9	7	33—23	36
„დინ.“ მნ.	12	6	11	36—28	30
ცსკა	11	8	11	39—37	30
„ზენიტი“	11	8	11	38—39	30
„არარატი“	10	12	8	35—27	28
„ფახთაქ.“	10	9	10	33—39	28
„ჩერნომ.“	9	9	12	27—31	26
ასკ რ.	7	14	9	33—44	22
„ქაირათი“	7	8	15	25—38	22
„ნეფთჩი“	7	8	15	25—42	22
„ლოკომ.“	6	11	13	36—50	20
„ტორპედო“	6	9	15	23—38	20
„ზარია“	4	10	16	32—52	16
„კრ. სოვეტ.“	6	3	21	20—54	15

II ლიგა

„დინამო“ (გათუმი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 1:0

ბათუმელ ფეხბურთელთა წარუმატებელმა გამოსვლამ II ლიგის IV ზონაში გარკვეული გამოსახულება ჰპოვა მაყურებელთა დასწრების თვალსაზრისით: 20 ოქტომბერს იოშკარ-ოლის „დრუჟბასთან“ შეხვედრისას ტრიბუნები თითქმის ცარიელი იყო.

თამაში დაიწყო ნელ ტემპში, დინამოელებმა ვერ შეძლეს უპირატესობის ხელში აღება და „დრუჟბის“ თავდამსხმელებმა შესვენებამდე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან, ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიეცა იასტრებოვს, მაგრამ მან გადამწყვეტ მომენტში იჩქარა.

დინამოელთაგან პირველ 45 წუთში მხოლოდ მენაბდეს და გორგილაძეს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ არც მათი დარტყმები იყო ზუსტი.

ბათუმელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას, საკმაო სამუშაო გაუჩნდა „დრუჟბის“ მეკარე ბოგდანოვს, თუმცა დრო გადიოდა, შედეგი კი არ ჩანდა. მხოლოდ მაშინ, როცა თამაშის დასასრულს 3 წუთი აკლდა, ბეჟანიძემ ძლიერად დაარტყა საჯარიმო, ბურთი მოხვდა სტუმართა ერთ-ერთ მცველს და კარში ჩაიჭრა.

ბ. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



20 ოქტომბერს გაიმართა ზონის სხვა მატჩებიც. გათამაშების ლიდერთაგან ლანჩხუთის „გურიამ“ ტოლიატში ანგარიშით 4:1 დაამარცხა ადგილობრივი „ტორპედო“. სამტრედიის ლოკომოტიველებმა ნაბერეჟნე ჩელნიში ფრედ ითამაშეს ადგილობრივ „ტურბინასთან“ — 1:1, ხოლო სტეფანაკერტის „ყარაბახმა“ აბოვიანში მოუგო ადგილობრივ „კოტაიკს“ — 1:0.

მოგვყავს სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო“ (ზუგდიდი)— „დინამო“ (კიროვი) 1:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 1:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „გასტელო“ (უფა) 3:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 3:0, „არაბკირი“ (ერევანი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 2:1, „რუბინი“ (ყაზანი)— „კოლხეთი“ (ფოთი) 3:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 3:1, „დილა“ (გორი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 2:1.

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IV ზონა

მდგომარეობა 23 ოქტომბრისთვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“	29	4	11	108—50	62
„ყარაბ.“	28	5	11	63—34	61
„ლოკომ.“	26	9	9	103—47	61
„ზენიტი“	22	13	9	67—40	57
„კოტაიკი“	24	6	14	77—42	54
„არაზი“	25	3	16	83—76	53
„დინ.“ ზ.	19	10	15	48—45	48
„დინ.“ ს.	16	16	12	44—37	48
„კოლხეთი“	21	5	18	66—53	47
„დილა“	19	8	17	69—64	46
„გაზოვ.“	19	8	17	57—62	46
„შირაკი“	19	7	18	53—45	45
„გასტელო“	17	10	17	41—43	44
„დინ.“ ბ.	19	5	20	53—61	43
„ავტომობ.“	17	9	18	52—59	43
„ტურბინა“	15	10	19	48—61	40
„ხაზარი“	17	5	22	50—72	39
„რუბინი“	10	16	18	47—62	36
„ურალეცი“	12	10	21	43—55	34
„პროგრ.“	13	7	24	56—90	33
„დრუჟბა“	12	5	27	42—68	29
„დინ.“ კრ.	11	7	26	31—58	29
„ტორპედო“	10	8	25	48—77	28
„არაბკირი“	9	10	25	52—100	28

●

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

„ა“ კლასის II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა გუნდების გათამაშების დამთავრებამდე 4 ტურია დარჩენილი, მაგრამ გამარჯვებული უკვე გაირკვა. ესაა სტავროპოლის „დინამო“, რომელიც გაისად ითამაშებს I ლიგაში.

თამაშობენ ჩვენი მეტოქეები

ევროპის ჩემპიონთა თასის მერვედფინალურ მატჩში თბილისის „დინამოს“ მეტოქემ „ჰამბურგმა“ გფრ-ის ჩემპიონატზე ბრემენში ადგილობრივ „ვერდერთან“ მორიგი შეხვედრა გამართა და ფრედ (1:1) დაამთავრა იგი. ახლა „ჰამბურგს“ გათამაშების ცხრილში 12 ქულით მეორე ადგილი უკავია. 15 ქულით ტურნირს ლიდერობს დორტმუნდის „ბორუსია“.

ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში ფრედ ითამაშა უეფა-ს თასის გათამაშებაში კიევის „დინამოს“ მომავალმა მეტოქემ — ოსტრავას „ბანიკმა“. მან ნიტრში ვერ დაძლია ადგილობრივი „პლასტიკის“ წინააღმდეგობა — 0:0. „ბანიკს“ 13 ქულა აქვს და ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში ისიც მეორე ადგილზე იმყოფება. გათამაშების ცხრილს სათავეში უდგას პრაღის „ბოჰემიანსი“ — 15 ქულა.

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მოსკოვის დინამოელები ხვალ უმასპინძლებენ პორტუგალიის „ბოავისტას“. ჩვენს ქვეყანაში გამომგზავრებამდე ამ გუნდმა „ესპანოს“ უმასპინძლა და დაამარცხა იგი — 4:0. „ბოავისტა“ პორტუგალიის ჩემპიონატში 7 ქულით მერვე ადგილზეა.

□

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

ფავორიტები და აუტსაიდერები

ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის II წრის შეხვედრებს მიმომხილველები 2 ჯგუფად ყოფენ. პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ იმათ, რომელთა შედეგები დიდ ეჭვს არ იწვევს, მეორე ჯგუფის მატჩებში კი შეუპოვარი ბრძოლაა მოსალოდნელი და გამარჯვებულებსაც წინასწარ ვერავინ ასახელებს.

ამსტერდამის „აიაქსს“ პირველ წრეში იოლი მეტოქე შეხვდა — ჰელსინკის ჰიკ-ი და გუნდს ახლაც „მწვანე შუქნიშანი“ აქვს. მან იოლად უნდა სძლიოს ნიქოზიის „ომონიას“ (კიპროსი), ამასთან „აიაქსმა“ შესანიშნავი სნაიპერი შეიძინა დანიელი იენსენის სახით, რომელიც ადრე „რეალში“ თამაშობდა.

დიდ ბრძოლას არ მოელიან გლაზგოს „სელტიკისა“ (შოტლანდია) და „დანდალკის“ (ირლანდია) შეხვედრაშიც. „სელტიკს“ პირველ წრეშიც სუსტი მეტოქე ჰყავდა (ტირანის „პარტიზანი“) და წილისყრისას ახლაც ბედმა გაუღიმა.

იუგოსლავიის ჩემპიონის—„ჰაიდუკის“ (სპლიტი) ხელმძღვანელობაც კმაყოფილია დანიის „ვეიღლესთან“ შეხვედრით. მართალია, „ვეიღლემ“ პირველ წრეში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ვენის „აუსტრიასთან“, მაგრამ იუგოსლავიელთა კლასმა მაინც თავისი უნდა გაიტანოს.

ყველა დანარჩენი შეხვედრიდან ცენტრალურად „ჰამბურგერ შპორტფერაინისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩია მიჩნეული. აქ ძალზე შეუპოვარ ბრძოლას მოელიან.

დიდ ინტერესს იწვევს პორტუგალიის ჩემპიონატის ლიდერის— „პორტოს“ შეხვედრა მადრიდის „რეალთან“. მადრიდელ გულშემატკივრებს ახალი კერპი ჰყავთ, — იამაიკელი ზანგი კანინჰემი, რომელმაც ინგლისის მოქალაქეობა მიიღო და, ამდენად, ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც არის მიწვეული. კანინჰემი, რომელიც შესანიშნავი დრიბლიორია, „რეალმა“ ამ ზაფხულს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონისგან“ იყიდა და სარგებლიანადაც. „რეალის“ იუგოსლავიელი მწვრთნელი ბოშკოვი ახლა ძირითად იმედს სანტილიანა-კანინჰემის დუეტზე ამყარებს. თავის მხრივ, „პორტოს“ ხელმძღვანელობაც ოპტიმისტურად არის განწყობილი.

ძნელი სათქმელია, რა მოხდება ბერლინის „დინამოსა“ და ქენევის „სერვეტის“ შეხვედრაში. „დინამომ“ წლეულსაც შეინარჩუნა ჩინებული საბრძოლო მზადყოფნა, ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში II-III ადგილებს იყოფს „ჰემისთან“, ხოლო „სერვეტი“ პირველობას ეცილება ციურიხის კლუბებს „ფკ ციურიხსა“ და „გრასჰოპერსს“.

პრაღის „დუკლამ“ კარგად ითამაშა პირველ წრეში უნგრეთის „დოჟა-უაპეშტთან“. გუნდის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ პრაღის კლუბს კარგი შესაძლებლობა ეძლევა გავიდეს ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში. რა თქმა უნდა, ამ აზრს არ ეთანხმება სტრასბურგის „რესინგის“ მწვრთნელი, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი გრესი. „რესინგის“ საქმეები საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატში არ არის მაინცდამაინც ბრწყინვალე (XII ტურის შემდეგ მე-7 ადგილზეა), ამიტომ გრესი აქცენტს იღებს ჩემპიონთა თასზე.

დაბოლოს, ჩემპიონთა თასის ერთ-ერთი ფავორიტი — „ნოტინჰემ ფორესტი“ რუმინეთის „არეჟეშს“ ხვდება. „ნოტინჰემის“ მწვრთნელი კლუგი წლეულს ჩემპიონთა თასსაც უმიზნებს და ინგლისის ჩემპიონობასაც; ოთხშაბათს მისმა თავდამსხმელებმა ფრენსისმა და ვუდკოკმა ჩინებულად ითამაშეს ბელფასტში ჩრ. ირლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩში (5:1 ინგლისელთა სასარგებლოდ), სადაც 2-2 გოლი გაიტანეს. ამავე დროს „არეჟეშიც“ ერთობ შეუპოვრად თამაშობს და არ ითვლება იოლ პარტნიორად ინგლისის ჩემპიონისთვის.

გ. თორელი.

ჩეჯიანლუჯი, ჯალტრეჯი, ალიჯანეჯი

გულგარეთი

10 ტურის შემდეგ სოფიის „სლავიამ“ და ცსკა-„სპარტემვრიისკო ზნამემ“ მნიშვნელოვნად ჩამოიტოვეს მეტოქეები. მათ 17-17 ქულა აქვთ. ამ ტურში არმიელებმა პლოვდივში ფრედ ითამაშეს „თრაკიასთან“ — 3:3. „სლავიამ“ კი შინ მოუგო პლევნის „სპარტაკს“ — 2:0.

რუმინეთი

10 ტურის შემდეგ 14-14 ქულით წინ არიან ბუქარესტის „სტეაუა“ და კრაიოვას „უნივერსიტატია“. 12-12 ქულა მოაგროვეს ბუქარესტის „დინამომ“, მარეს „ბაიამ“ და „სკ ბაკაუმ“

გდრ

7 ტურის შემდეგ მაქსიმალური შედეგით — 14 ქულით წინ არის დრეზდენის „დინამო“. მან უკანასკნელ მატჩში სტუმრად ანგარიშით 3:0 მოუგო ბერლინის „უნიონს“. 11-11 ქულა დააგროვეს ბერლინის „დინამომ“ და „ჰემიმ“.

● ფეხბურთი

● კრივი





17:13

20 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლის სარბიელი ტყავის ხელთათმანის ოსტატებს დაეთმოთ. აქ გაიმართა საინტერესო ამხანაგური შეხვედრა კრივში დონის როსტოვისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის.

— თბილისელი და როსტოველი მოკრივეები სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალამდეც შეხვდნენ ერთმანეთს,— გვითხრა შეჯიბრების დაწყების წინ საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა კრივში ლევან ანდღულაძემ, — მაშინ ჩვენმა მოკრივეებმა გაიმარჯვეს. ის შეხვედრა მოსკოვის სტარტებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მსგავსი შეჯიბრება მოკრივეთა სპორტული ოსტატობის ზრდასთან ერთად სხვადასხვა ქალაქების სპორტსმენების დამეგობრებასაც უწყობს ხელს. როსტოველი და თბილისელი მოკრივეები მომავალშიც შეხვდებიან ერთმანეთს.

შეჯიბრება 10 წონით კატეგორიაში გაიმართა. ქვემძიმე და ძძიმე წონის მოკრივეები სარბიელზე არ გამოსულან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სპორტის სასახლეში მოსული მაყურებელი საინტერესო ორთაბრძოლების მოწმე გახდა.

პირველად რინგზე 48 კგ წონის მოკრივეებს ი. ბაბოშკოსა (როსტოვი) და ი. გაიბალიევს (თბილისი) უხმეს. ამ შეხვედრაში როსტოველმა გაიმარჯვა და სტუმრები დაწინაურდნენ. შემდეგ გ. ასლანოვმა (51 კგ, თბილისი) დაამარცხა ი. სობოლევი და წონასწორობა აღადგინა. მესამე ორთაბრძოლა დ. ყურაშვილსა (54) და ც. კარანაშვილს შორის გაიმართა და ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. საინტერესო გამოდგა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ა. ხიზანიშვილისა (54) და სპორტის ოსტატის ა. შინკარენკოს პაექრობა. ამირანმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მას მიბაძეს ს. პეტროსიანმა (57) და ვ. გოგუაძემ (60), რომლებმაც შესაბამისად ა. კულაკნიკოვი და გ. ვასილიევი დაამარცხეს. შემდეგ ნ. გურგენიძემ (63,5) წააგო ს. ბეზდოლნისთან შეხვედრა და ანგარიშში სხვაობა კვლავ შემცირდა. მაგრამ ი. გოგოლაძემ (67), ბ. მამულაშვილმა (71) და მ. თაქთაქიშვილმა (75) ზედიზედ მოიპოვეს გამარჯვებები.

ამრიგად, 10 ორთაბრძოლიდან 7 თბილისელებმა მოიგეს და ბუნებრივია, გუნდური გამარჯვებაც მათ დარჩათ — 17:13.

* * *

სურათებზე: მიმდინარეობს შეჯიბრება; მ. თაქთაქიშვილისა (მარჯვნივ) და ა. ივაშენკოს შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



□

მოზარდთა საკავშირო პირველობა ჯგუფურ რბოლაში

□

უკანასკნელი აკორდი

თბილისის 168-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი იური კაზაკოვი სამიოდე წელია ველოსპორტში „განთიადის“ სექციაში ვარჯიშობს ა. პოგორელოვის ხელმძღვანელობით და უკვე მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია: წლეულს სპორტის ოსტატი გახდა, 5 საკავშირო ტურნირი მოიგო და ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი.

იურიმ შაბათ-კვირას თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე გამართულ სეზონის უკანასკნელ საკავშირო პირველობაშიც ისახელა თავი — 100 წრეზე (20 საშუალედო ფინიშით) ჯერ ნახევარფინალში მოიპოვა ფინალის საგზური, ხოლო კვირას ფინალში იმარჯვა. აქ მას ძნელი ბრძოლების გადატანა მოუხდა ლატვიელ ი. სერდიუკოვთან, ლიტველ ვ. კანიაუსკასთან და სხვა 24 მეტოქესთან ბრძოლაში. საბოლოოდ კაზაკოვმა 33 ქულას მოუყარა თავი, თანაც ერთი წრის მანძილის უპირატესობას მიაღწია. მან 2 ქულით ჩამოიტოვა სერდიუკოვი და 8 ქულით კანიაუსკასი.

— სეზონის ფინიშზე იურის გამარჯვება იმის გარანტიას იძლევა, რომ ჭაბუკი სულ უფრო და უფრო აუმჯობესებს შედეგებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალ სეზონში იგი ახალ თვალსაჩინო წარმატებებს მოიპოვებს,— გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის არბიტრმა გ. ცქიტიშვილმა.

— კაზაკოვს ამ შეჯიბრებაში მხარი კარგად აუბეს თანაგუნდელებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგამბმულობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის იური ზიმენკოვისა და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მეორეკურსელის პავლე ვერიგინის წარმატება. ისინი შესაბამისად „შრომით რეზერვებსა“ და „განთიადში“ ვარჯიშობენ რეშეტოვისა და ჩერნოუსოვის ხელმძღვანელობით. ამ ყმაწვილებს წყვილთა რბოლაში უნდა ეცადათ ძალა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში გადაწყდა უფროსი ასაკის სპორტსმენებისთვისაც ჯგუფური შეჯიბრება ჩატარებულიყო. ზიმენკოვმა და ვერიგინმა I და II ადგილები დაიკავეს. — ჩაერია საუბარში საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი შ. საგარეიშვილი.

15-16 წლის სპორტსმენთა ტურნირში, სადაც გამარჯვება კაზაკოვმა მოიპოვა, ფინალში რბოლის ტემპი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ნახევარფინალური ასპარეზობისას. დასკვნით ეტაპზე საშუალო სისწრაფემ საათში 46 კილომეტრს გადაამეტა. ეს ამ ასაკის მოზარდებისთვის მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

ამას წინათ ვიტყობინებოდით, რომ უკრაინელმა ნ. კრუჟინიცკაიამ სვლით 200-მეტრიან მანძილზე სცადა თავისი რესპუბლიკის რეკორდის გაუმჯობესება და მიზანსაც მიაღწია — 12,24 წამი აჩვენა, რაც 0,06 წამით სჯობს ადრინდელ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. მოზარდთა ამ შეჯიბრებაში მან ერთხელ კიდევ მიიტანა იერიში რეკორდზე, ოღონდ ამჯერად ლენინგრადელ გ. ცარიოვას მიერ აქვე დამყარებულ მსოფლიო მიღწევაზე (12,18), მაგრამ მხოლოდ ის შეძლო, რომ თავისსავე მიღწევას 0,01 წამი ჩამოაკლო.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან ველოსიპედისტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ამ სახეობაში უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორს ო. ფხაკაძეს. მისი პასუხების მოკლე შინაარსი ასეთია:

— რესპუბლიკის ველოსიპედისტთა წლევანდელ ტრეკზე რბოლის შედეგებით უდავოდ კმაყოფილი ვართ: ჩევარდოვის, დვალიშვილის, გელაშვილის, კაზაკოვის, ზიმენკოვის, ვერიგინის მაჩვენებლები შესანიშნავია. მომავალში წარმატებები კიდევ უფრო გაიზრდება. ამის თქმის უფლებას მაძლევს ახალგაზრდების მონდომება. ვისურვებდი მათ მაგალითს გზატკეცილზე მრბოლელებმაც მიბაძონ, მაშინ ამ სახეობაშიც გამრავლდებოდა წარმატებები...

ო. ივდოშვილი.

* * *

სურათებზე: 15-16 წლის სპორტსმენთა შეჯიბრებაში გამარჯვებულნი მარცხნიდან — ი. სერდიუკოვი, ი. კაზაკოვი და ვ. კანიაუსკასი; ასპარეზობის მომენტი.

ო. გელაშვილის ფოტოები.

2740 კილომეტრი... ფეხით

იმ ადგილების გავლით, სადაც დიდი სამამულო ომის გრძოლები მიმდინარეობდა

თბილისის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნები ტაშით ეგებებოდა წვერმოშვებულ ახალგაზრდას. მას ხელები აღემართა და საპატიო წრეს ძუნძულით უვლიდა. სპორტულ ფორმაში გამოწყობილს მკერდზე და ზურგზე წარწერა ჰქონდა: „მოსკოვი — თბილისი“. და კიდევ უამრავი ავტოგრაფი.

სტადიონზე გარბენილი ოთხასიოდე მეტრი ორთვიანი ქვეითი მოგზაურობის უკანასკნელი აკორდი იყო. რამდენიმე საათით ადრე კი რედაქციაში გვიამბობდა თუ დიღომში, მაიაკოვსკის ძეგლთან როგორი შეხვედრა მოუწყეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა, პიონერებმა...

რედაქციაში თავიდან ფეხებამდე შეათვალიერეთ ვალერი და მზერა მის კედებზე შეეჩერეთ. კედები საცოდავი სანახავი იყო. მიხვდა, რაც უნდა გვეკითხა და დაგვასწრო, ეს მესამე წყვილიაო.

ვიდრე ვალერი ქობალიას ოდისეას გაგაცნობდეთ, რამდენიმე სიტყვა თვითონ მოგზაურზე:

ვალერი ქობალიას, ვფიქრობთ, კარგად იცნობენ თბილისელი ფეხბურთის გულშემატკივრები, უფრო სწორად მის ნამუშევრებს — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გრაფიკულ პორტრეტებს, რომელიც ამ გაზაფხულზე ფილარმონიის შენობის ვიტრინაში იყო გამოფენილი. თუმცაღა, იგივე გულშემატკივრები, რომლებმაც ეს გამოფენა იხილეს, თვითონ ვალერის გრაფიკულ პორტრეტსაც ნახავდნენ, რომელიც... მანუჩარ მაჩაიძემ დახატა. უფრო ახლოს რომ გაგაცნოთ ვალერი, კიდევ რამდენიმე ცნობას მოგაწვდით: ორიოდ თვეში ოცდაათისა გახდება. თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. ახლა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მხატვარია. ზემოთ რომ გამოფენა ვახსენეთ, ეს მისი ნამუშევრების მეორე ექსპოზიცია იყო. პირველი კი სამიოდე წლის წინათ მოეწყო, როცა ეხგურჰესის მშენებელთა გრაფიკული პორტრეტები გამოფინა ხელოვნების მუშაკთა სახლში.

ახლა კი ჩვენს საუბარს გაგაცნობთ:

— რამ გადაგაწყვეტინათ მოსკოვიდან თბილისამდე ფეხით ჩამოსვლა?

— ეს იდეა თითქმის ათი წელი მოსვენებას არ მაძლევდა. ბევრი რამ წამიკითხავს დიდი სამამულო ომის თემაზე. მინახავს კინოფილმები. მუდამ მოიცებდა, თუ როგორ უძლებდნენ ჯარისკაცები დღედაღამ ფეხზე დგომას, სიარულს, სირბილს. ზოგჯერ, დღე-ღამის მანძილზე შეუსვენებლად ათობით კილომეტრის დაფარვას. მაინტერესებდა, როგორ მოქმედებს ასეთი დატვირთვა ადამიანის ფსიქოლოგიაზე, ფიზიკურ მდგომარეობაზე; როგორი დატვირთვის გადატანა შეუძლია ადამიანს. ეს ყველაფერი მინდოდა საკუთარ თავზე გამომეცადა. საერთოდ ძალიან მაინტერესებს დიდი სამამულო ომის თემა. სწორედ ამიტომ ავირჩიე ასეთი მარშრუტი: მოსკოვი — ტულა — ორიოლი — კურსკი — ბელგოროდი — ხარკოვი — დებალცევო — როსტოვი — კრასნოდარი — ჯუგბა — სოჭი — სოხუმი — გორი — თბილისი. მე აქ მხოლოდ საკვანძო ადგილები ჩამოვთვალე, თორემ ყველა ქალაქისა და სოფლის დასახელება, სადაც გავიარე, შორს წაგვიყვანს. სულ დაახლოებით 2740 კილომეტრი დავფარე. ამ ქალაქების უმეტესობაში მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორც ცნობილია, დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა. მოგზაურობა მივუძღვენი ბავშვის საერთაშორისო წელს, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს და ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვებას საკავშირო თასის ფინალში. სხვათა შორის, საბოლოოდ სწორედ მათ მიერ თასის მოპოვებამ გადამაწყვეტინა მოსკოვიდან თბილისს ფეხით მოგზაურობა. რას იზამ, ჩვენმა ბიჭებმა სიტყვაზე დამიჭირეს. თასის ფინალის წინ ხინჩაგაშვილმა მკითხა, დღეს რომ გავიმარჯვოთ, რას იზამო. ვუპასუხე, ოღონდ თქვენ თასი მოიპოვეთ და აქედან ფეხით ჩავალ თბილისში-მეთქი. ბიჭებმა პირობა შეასრულეს, მე როგორ დავრჩებოდი პირშერცხვენილი?

— ალბათ არ გეცოდინებათ, რომ საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელებმა, რომელსაც შოთა მირიანაშვილი მეთაურობდა, ასევე დიდებულად აღნიშნეს ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვება თასის ფინალში. დავით ბაიდაურმა და მალხაზ ხუციშვილმა პამირში 5000 მეტრზე მაღალი მწვერვალი დაიპყრეს და პირველამსვლელთა უფლებით თბილისის „დინამოს“ სახელი უწოდეს.

— ეს ცნობა ჩემთვის მართლაც ახალია. ყოჩაღ, მთამსვლელებს. საერთოდ, გზაში არც გაზეთისთვის მეცალა და არც ტელევიზორისთვის, მაგრამ როცა „ლევერპულთან“ შეხვედრის რეპორტაჟს გადმოსცემდნენ, მაშინ კი მივუჯექი ტელევიზორს. ჩვენი ბიჭების გამარჯვებამ კიდევ უფრო აღმაფრთოვანა და ფრთები შემასხა. ამ დროს უკვე გალის რაიონში ვიყავი და დარჩენილი გზა კიდევ უფრო მხნედ გავიარე.

— მოგზაურობის დროს რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილმა ძეგლებმა, მემორიალებმა. საინტერესო იყო ოლიმპიური ჩირაღდნით გადარბენის რეპეტიცია. ეს 16 აგვისტოს ვნახე სერპუხოვის მიდამოებში. გზაში შევხვდი ავრეთვე ქდანოვიდან ნოვოროსიისკში გადარბენის მონაწილეებს. როსტოვიდან იყვნენ. მორბენლებს უკან ავტობუსი მოჰყვებოდა დასვენებული სპორტსმენებით, რომლებიც ესტაფეტას ღებულობდნენ დაღლილებისგან. ყველა შთაბეჭდილებების დაწვრილებით ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. სხვათა შორის, ლაშქრობისას ერთგვარად ფოსტალიონის როლიც შევასრულე — ჩვენს ფეხბურთელებს: დარასელიას, ვაბელიას, გოგიას, მუჯირს, შენგელიასა და კოსტავას ბარათები ჩამოვუტანე, რომლებიც მათი ოჯახებიდან გამომატანეს.

— გზაში ყველაზე დიდი პრობლემა ალბათ ღამისთევა იყო.

— რამდენჯერმე სასტუმროებსა და ტურბაზებში გავათიე. ერთხელ — საგზაო მუშათა სახლში. რამდენჯერმე ოჯახებში მიმიპატიჟეს. ათჯერ კი თივის ზვინებში მეძინა. რამდენიმე ღამეც სიარულში გავატარე. ძნელი ყოფილა გზატკეცილებზე ღამით სიარული, რადგან ავტომანქანების სინათლე საოცრად მოქმედებდა მხედველობაზე, ნერვებზე...

— დღეში საშუალოდ რამდენ კილომეტრს ფარავდით?

— 55 კილომეტრს. ერთხელ კრასნოდარიდან ჯუგბამდე თითქმის შეუსვენებლად 150 კილომეტრი დავფარე. 41 საათი ვიარე და მხოლოდ ორიოდე საათით ჩავიმუხლე.

— როგორ ემზადებოდით ამ მოგზაურობისთვის?

— ჯერ მოსკოვში იზმაილოვის პარკს შემოვუარე. თან ვათვალიერებდი და 9 საათს მოვუნდი. მერე მოსკოვსაც შემოვუარე. „სადოვოე კოლცოთი“. ეს იყო და ეს.

— მომავალში კვლავ ხომ არ აპირებთ ამდაგვარ მოგზაურობას?

— ჯერჯერობით მხოლოდ დასვენებაზეა ვფიქრობ...

ა. გურასაშვილი.

* * *

სურათზე: ვ. ქობალია თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.

კ. შანიძის ფოტო.

ახალი სეზონი ჰიმალაიში

კატმანდუ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ალპინისტური ექსპედიციები შეუდგნენ ჰიმალაის მწვერვალების დასაპყრობად საბაზო და საშუალედო ბანაკების მოწყობას.

წარმატებით მიმდინარეობს პოლონელი მთამსვლელების იერიში 8511-მეტრიან ლხოცეზე. ნეპალის დედაქალაქში მოსული ცნობით, ალპინისტებმა უკვე მეოთხე ბანაკი მოაწყვეს 7850 მეტრის სიმაღლეზე.

კარგად აქვს საქმე ჩეხოსლოვაკიის „კრკონოშსკის ალპინისტურ ექსპედიციას“, რომელმაც უნდა დაიპყროს მწვერვალი მანასლუ-ნორტ-2 (7151 მ). სპორტსმენებმა ააგეს საბაზო ბანაკი 4320 მ სიმაღლეზე და პირველი საშუალედო — 4690 მეტრზე.

სპეციალისტები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს იაპონელ მთამსვლელთა ჯგუფს, რომელიც აპირებს შესრულოს ტრავერსი — დხაულაგირი-2 (7751), დხაულაგირი-3 (7715) და დხაულაგირი-5 (7618) მწვერვალებზე. ტურიზმის სამინისტროს ცნობით, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. მათ საბაზო ბანაკი გამართეს 4500 მეტრის სიმაღლეზე (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

26 ოქტომბერს

„განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში ჩატარდება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს V პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში სპორტსაზოგადოება „განთიადის“ სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგები და საზოგადოების ამოცანები მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ“ და „განთიადის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები.

დასაწყისი 14 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81;
მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02395